პრესაში გაჩნდა ცნობები, თუ რატომ დაანება არგენტინის ნაკრებისა და „მალორკას“ მეკარე კარლოს როამ თავი ფეხბურთის. საქმე ისაა, რომ იგი „მეშვიდე დღის ალვერტის ტემის“ რელიგიური სექტის წევრია და ამდენად შაბათობით მუშაობის (ე.ი. თამაშის) ნება არა აქვს.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის აგზაუბი

# საზღვარგარეთის ფანბურითი ანგარიში

## „ნარინჯოვანი“ ჩემპიონი

### ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

ჯერ კიდევ მეორე წრის შედეგულში ცხადი გახდა: „ბარსელონა“ ესპანეთის ჩემპიონობას არავის დაუთმობდა. ლუის ვან გალმა თანდათანობით მეტად ძლიერი კოლექტივი ჩამოაყალიბა, თანაბრად ძლიერი და გაწონასწორებული ყველა რგოლში. იგი მატჩს მატჩზე იგებდა და გულშემატკივრებს ავიწყებდა, რა სამარცხვინოდ დატოვა შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგა. ამასთან, არც მწვრთნელის არაკეთილშობილურებები გაჩერებულან. მათგან მთავარია „ბარსა“ ყოფილი მწვრთნელი, ლემდე იქ მცხოვრები იოჰან კრუფი, რომელსაც არ მოსწონს გუნდის თამაშის სტილი, მისი აზრით, ზედმეტად პრაქტიკული. სხვებს სხვა რამ არ მოსწონთ: ახლანდელი „ბარსელონა“ ხომ ფაქტობრივად პოლანდიური გუნდია, უამრავი ნიდერლანდელი მოთამაშით და ასტერდამის „აიაქსის“ (ესპანეთში გადასვლამდე ვან გალი წვრთნიდა) მსგავსი მანერით. ერთი რამ აკლია, პოლანდიური „ნარინჯოვანი“ ფორმა.

ასეა თუ ისე, „ბარსელონა“ შეჯიბრების დამთავრებამდე გაცილებით ადრე მოიპოვა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლება. ახლა ამავე ტურნირის დარჩენილი სამი საგზური-სათვის თავი სხვებს უნდა ეტეხათ. თუმცა, საგზურიც არის და საგზურიც: ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ ძირითად ტურნირში ითამაშებენ, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულები კი შესარჩევი ასპარეზობიდან დაიწყებენ ბრძოლას.

მაშ ასე — ვინ იქნებოდა მეორე, მესამე, მეოთხე?

ბოლო 38-ე ტურის წინ ამ სამ ადგილს 5 პრეტენდენტი ჰყავდა: „მალიორკა“ (66 ქულა), „რეალ“ (65), „სელტა“ (64), „ლა-კორუნია“ (63) და „ვალენსია“ (62). ბოლოსწინა ტურში პრეტენდენტების უმრავლესობა ძალიან მარცხიანად გამოვიდა და თავისი შესაძლებლობები გააუარესა. ასე მაგალითად, მადრიდის „რეალმა“ წააგო 1-3 თანაქალაქელ „ატლეტიკოსთან“, რომელმაც ჩემპიონატი მეტად სუსტად ჩაატარა, მაგრამ ტრადიციული მეტოქე მაინც გააწვარა. „ვალენსია“ სტუმრად დამარცხდა 2-3 მეორე ლიგაში გადასასვლელად განწირულ „ტენერიფესთან“. „ლა-კორუნიამ“ საკუთარ მინდორზე ვერაფერი დააკლო (1-1), ესტრემადურას“ პირიქით, პოზიცია მეტად განაპტიცა „მალიორკამ“, რომელმაც პრინციპული მატჩი მოუგო — 2-0 „სელტას“.

ახლა, ბოლო ტურში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა „ვალენსია“ — „მალიორკას“, „სელტა“ — „ატლეტიკოსს“ და „რეალ“ — „ლა-კორუნიას“ შეჯიბრებს.

ამ სეზონის ნამდვილ აღმოჩენას — პატარა ქალაქ ვიგოს „სელტას“, როგორც ბევრი მიმომ-



რაული (თეთრი მაისურით) დავიანებით აღმოჩნდა ბურთთან, ვიდრე მისი ოპონენტი „ლა-კორუნიადან“ — ზიანი.

ხილველი მოელოდა კიდევ, ბოლომდე ძალები არ ეყოთ. ამასთან, ბოლო მატჩში აკლდა ორი წამყვანი ფეხბურთელი: მაზინო და მოსტოვი. მართალია, გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ „სელტას“, რომელსაც აქამდე შინ დამარცხება არ განეცადა, ამ შემთხვევაში ბედი გაუღიმებდა. ასე არ მოხდა. მართალია, გალისიელები ბევრს უტევენ (ერთ მომენტში შეტევაში პორდი კრუფიც ჩართეს), მაგრამ მადრიდელთა დაცვა და მეკარე მოლინა ამ დღეს უშეცდომოდ თამაშობდნენ. მატჩის ბედი გადაწყვიტა სოლეირის ერთადერთმა გოლმა და „სელტამაც“ ყოველგვარი იმედი დაკარგა. მართალია, საბოლოო მეხუთე ადგილი ამ კლუბისათვის მარცხად ჩაითვა, მაგრამ სამაგიეროდ, ყველაფერი ახლა მისი მაღალი კლასი, რომელიც „სელტამ“ უჩვენა მატჩო ესპანეთის ჩემპიონატში კი არა, უფასს თასზეც. „მალიორკა“ დიდი ანგარიშით 0-3 დამარცხდა „ვალენსიასთან“, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩინებულ შედეგს მიაღწია. ბალეარის კუნძულების წარმომადგენელმა შარშან პირველად აღიმაღლა ხმა — მეხუთე ადგილი დაიკავა, წელს კი მესამეზე გავიდა, რაც უმაღლესი მიღწევაა მიუღი მისი ისტორიის მანძილზე. შესანიშნავად იმუშავა ცნობილიმ არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ კუბერმა, რომელმაც ნამდვილად შეადგულა გუნდი. მართალია, „მალიორკას“ ცოტა გოლი

გაჰკონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველაზე საიმედო დაცვა ჰყავდა. „ვალენსიასთან“ წაგება „მალიორკასთვის“ ერთადერთი დიდი ანგარიშით დამარცხება იყო, თუმცა ნურც ერთი პიკანტური მომენტს დავივიწყებთ: ეს იყო უკანასკნელი მატჩი კუბერის ხელმძღვანელობით, რომელიც სამუშაოდ გადავიდა... „ვალენსიაში“! საერთოდ კი, ვალენსიამ სეზონი კარგად წარმოართა, ცალკეული მატჩი მას გულს არ უტეხდა და ადგილიც ჩემპიონთა ლიგაში, მიმომხილველთა აზრით, ღირსეულად მოიპოვა.

მადრიდის „რეალ“ ამ სეზონში ნამდვილად „ციცხელმა“ შეეყარა. როდის წაუგია „სამეფო კლუბს“ ამდენი მატჩი ასეთი ანგარიშებით: 0-3 „ბარსელონასთან“, 1-5 „სელტასთან“, 0-4 „ლა-კორუნიასთან“. დაუმატოთ ამას 0-6 ესპანეთის თასზე „ვალენსიასთან“. რა იყო „რეალის“ მარცხის მიზეზები? (თუცა საბოლოოდ გუნდს მაინც გაუღიმა ბედმა). ესპანურტებს მაინც რომ მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ძალიან ცუდად მოაზარა „რეალი“ სეზონისათვის, სულ სხვადასხვა გაუმართლებელ ტაქტიკურ სქემას იყენებდა და, ბოლოს, ყოველგვარი გავლენა დაკარგა მოთამაშეებზე. ცუდი სელექციური მუშაობის შედეგად კი, როცა ძირითადი მცველები ტრავმის გამო მწვობრივად გამოვიდნენ, მათი შემცვლელი გუნდში არ აღმოჩნდა. ძალიან ბევრი მატჩი გააცდინეს ფერნანდო იგრო და კრისტიან პანუჩი, ნახევარმცველმა ფერნანდო რედონდომ, წამყვანმა თავდამსხმელმა რაულმა. ის, რაც ჰიდინკმა გააფუჭა, ვერც მისმა შემცვლელმა ულსესკა ჯონ ტოზაშმა გამოასწორა. (უკანასკნელი ცნობებით, არც ის რჩება „რეალში“). გუნდის ხელმძღვანელობა უიღბლობასაც უჩიოდა, მაგრამ, ალბათ, ვაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ამდენმა განთქმულმა მოთამაშემ მაინც ვერ ჩამოაყალიბა ასე თუ ისე, მტკიცე კოლექტივი: გუნდი დაიყო რამდენიმე ერთმანეთისაგან მტრულად განწყობილ ნაწილად. მოთამაშეები მუდმივად ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს, ხმას არა სციმდნენ, ჩიოდნენ მწვრთნელებთან და ა.შ. ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა პოლანდიელი ზანგი კლარენს ზედლოფი, რომელიც მეგობრობდა მხოლოდ შაკვიან ფეხბურთელებთან და სხვებს უპირისპირდებოდა. მეორე, უკიდურესად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა ადგილობრივი გულშემატკივრების კერპმა რაულ გონსალეს ბლანკომ, ანუ, უბრალოდ, რაულმა. ეს უაღრესად ნიჭიერი, 22 წლის თავდამსხმელი ყოველთვის აცხადებდა, რომ „რეალს“ ღუპავენ და შემდეგშიც დაღუპავენ არავსაზნელები — უტხოვლები, რომლებსაც, ცხადია, არავითარი პატრიოტიზმი არა აქვთ და კლუბს უყურებენ, როგორც „სა-

სტუმროს“, არ განიცდიან მის მარცხს და ა.შ.

ასეთ პირობებში „რეალის“ საბოლოო შედეგები, ესპანურტების აზრით, მაინც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. სრულყოფილად შეიძლება კლუბი პირველ ოთხეულში ვერ მოხვედრილიყო. ახლა მას, როგორც ფიქრობენ, მოთამაშეთა დიდი ჯგუფი დატოვებს.

მაშ ასე, „ბარსელონა“ და „რეალი“ პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ძირითად ტურნირში გამოვლენ, „მა-

ლივის შესანიშნავი იყო პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ (34 მატჩი, 7 გოლი).

ჩემპიონატის	საბოლოო	ცხრილი:				
თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.		
1. ბარსელონა	38	24	7	7	87-43	79
2. რეალი	38	21	5	12	77-62	68
3. მალიორკა	38	20	6	12	48-31	66
4. ვალენსია	38	19	8	11	63-39	65
5. სელტა	38	17	13	8	69-41	64
6. ლა-კორუნია	38	17	12	9	55-43	63
7. ესპანოლი	38	16	13	9	49-38	61



„ატლეტიკო“ — „ბარსელონა“. დედაქალაქის კლუბის კაპიტანი სანტი (მარჯვნივ) ცდილობს უგზავნოს რივალდოს მცველობა — დაარტყას კარში.

ლიორკამ“ და „ვალენსიამ“ კი ბრძოლა შესარჩევი შეჯიბრებიდან უნდა დაიწყონ. ესეც, რა თქმა უნდა, ამ გუნდისათვის თვალსაჩინო მიღწევაა.

როცა „ბარსელონაზე“ ლაპარაკი, მისთვის ესპანეთის ჩემპიონატში საგანგებოდ ადგილის მინიჭება მიმოხილველებს სრულიად ბუნებრივად მიჩნევა. ზოგჯერ ხმარობენ კიდევ ასეთ გამოთქმას: „ბარსა“ და დანარჩენი 19“. ვიმეორებთ, ვან გალისა და კლუბის „ჩიბის“ წყალობით „ბარსელონას“ არავითარი საკადრო პრობლემა არა ჰქონია: სისტემატურად თამაშობდა „პოლანდიური ლეგიონი“: მეკარე რუდოლფუს ჰესპა 37 (!) მატჩი ჩაატარა, მცველებმა მიქელ რაიკვერმა — 26, ფრანკ ლე ბურმა — 19 (მხოლოდ უინსტონ ბოგარდი არ გამოადგა გუნდს — სულ ერთხელ ითამაშა), ნახევარდაცვაში ბუდევიჩ ზენდენმა — 25, ფილიპ კოკუმ — 36, რონალდ დე ბურმა — 13. კარგა ხნის უფერული თამაშის შემდეგ კვლავ გაიბრწყინა ცნობილი ფორვარდმა პატრიკ კლუივერტმა (15 გოლი, 35 მატჩი). მაგრამ ყველაზე ძლიერად წლევანდელ „ბარსაში“ მაინც ბრაზილიელი რივალდო ითამაშობდა (24 გოლი 31 მატჩში), ნაკლები წარმატებით — სხვა ბრაზილიელები ჯოვანი (სულ 2 გოლი 14 მატჩში) და ანდრესონი (6 გოლი 24 მატჩში). სხვა უტხოვლოვან, როგორც ყოვე-

8. ატლეტიკი 38 17 9 12 53-47 60  
 9. სარაგოსა 38 16 9 13 57-46 57  
 10. რეალ-სოხედ 38 14 12 12 47-43 54  
 11. ბეტისი 38 14 7 17 47-58 49  
 12. ვალიადოლიდ 38 13 9 16 35-44 48  
 13. ატლეტიკო 38 12 10 16 54-50 46  
 14. ოვიედო 38 11 12 15 41-57 45  
 15. რასინგო 38 10 12 16 41-53 42  
 16. ალავესი 38 11 7 20 36-63 40  
 17. ესტრამადურა 38 9 12 17 27-53 39  
 18. ვილიარეალი 38 8 12 18 47-63 36  
 19. ტენერიფე 38 7 13 18 41-63 34  
 20. სალამანკა 38 7 6 25 29-66 27

„ტენერიფე“ და „სალამანკა“ მეორე დივიზიონში გადავიდნენ, „ესტრამადურამ“ და „ვილიარეალმა“ გადასასვლელი მატჩები უნდა ითამაშონ. „სელტა“, „ლა-კორუნია“ და მადრიდის „ატლეტიკო“ უფასს თასზე გამოვლენ.

ახლა კი სნაიპერთა ცხრილს გადავხედოთ: რაული (მადრიდის „რეალი“) — 25 გოლი (4 პენალტით), რივალდო („ბარსელონა“) — 24 (5 პენ.), კ. ლოპესი („ვალენსია“) — 21 (2), კ. ლორენტესი („რეალი“) — 19. ლეი ვალდესი („ოვიედო“) — 19 (2), მილოშევიჩი („სარაგოსა“) — 17, კოვაჩევიჩი („რეალ-სოხედლი“) — 16 (1), ურსაისი („ატლეტიკი“) — 16 (2), კლუივერტი („ბარსელონა“) — 15.

ბივი ზამრამკელი

## კლავდიო + კლავდიო = ვალენსია!!!

### ესპანეთის თასის ფინალი

**ვალენსია — ატლეტიკო 3-0**  
 ვალენსია: კანსარესი, კარბონი (ფრანი, 90), ჟუკინი, როში, მენდიეტა, ფარინოსი, მილია, ანგლომა, კლავდიო ლოპესი (ბორკლუნდი, 81), ვლაოთინი (ანგლო, 63), ილიე.  
 ატლეტიკო: მოლინა, სერენა, შამოტი, სანტი, ხელი (რობერტო, 65), ბეიბლი (მენა, 70), სოლარი, ვალდერანი, აგილერა, ხოსე მარი, ჟურინო.  
 გოლები: კლავდიო ლოპესი (23; 81), მენდიეტა (33).

ესპანეთის თასის ექვსეზის მფლობელ მადრიდის „ატლეტიკოსთვის“ ეს ფინალი იმითაც იყო მოტივირებული, რომ გამარჯვების შემთხვევაში იგი უფასს თასზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებდა — ეროვნულ ჩემპიონატში მე-13 ადგილზე გასულ გუნდისთვის ეს მნიშვნელოვანი მონაკიტი გამოდგებოდა. „ვალენსიას“ კი, როგორც ეროვნულ ჩემპიონატში მეოთხე ადგი-

ვამარჯვების სწამდათ და აი რატომ: ეროვნულ ჩემპიონატში „ვალენსიას“ მეტად მძაფრად ეპაექრებოდა ვიგოს „სელტა“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის, მაგრამ ტურნირის მიწურულს „სელტამ“ სწორედ „ვალენსიასთან“ წაიგო: 3-0. ვერმა ირწმუნა, რომ „ვალენსია“ დედაქალაქელებს ვალს დაუბრუნებდა, მაგრამ ამოდ... ბუქმეკერებმა კი გვარანად იხეირეს.

„ვალენსიას“ იტალიელი თავკაცის კლავდიო რანიერის ბიჭებმა ბედებით ადინეს მადრიდელებს, გოლებიც ერთმეორეზე მშვენიერი გამოუვიდათ და მითინანდა მატჩიც. მათი 24 წლის არგენტინელი ფორვარდის კლავდიო ლოპესის შოუ ერთ რამედ ღირდა, კარგად გაისარჯა რუმინელი თავდამსხმელი ადრიან ილიეც, ხოლო „ატლეტიკოსგან“ კი ფაქტობრივად ვერაგინ გაიბრწყინა ინდივი-

დუალურად ცალკეულ ეპიზოდებში მაინც. მადრიდელთა ექსცენტრული პრეზიდენტი ხესუს ხილი მატჩამდე და ბუნებრივად მის შემდეგაც დღენიადაგ ოცნებობს კლავდიო რანიერის გადაბრუნებას. ჯერჯერობით კი მხოლოდ ის გახსნავთ გაცხადებულ, რომ ეს იტალიელი სპეციალისტი „ვალენსიაში“ ადარ იმუშავებს და რომ „ატლეტიკოს“ თავკაცი რადომირ ანტიჩი ადარ იქნება.

## ივანოვსკის თასის ფინალი

**ცრენა ზეზუა — პარტიზანი 4-2**  
 1-0 სკორინი (16), 2-0 პიანოვიჩი (18), 2-1 რაზოვიჩი (35), 2-2 კეზმანი (45), 3-2 სკორინი (62), 4-2 ტოიკოვიჩი (86).

## ინგლისელი უაპრონოდ აღარ პიკან...

ინგლისში ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილისთვის თითქმის ოთხთვიანი კონსულტაციები იმით დასრულდა, რომ უაპრონოდ აღარჩენილ ამ ორგანიზაციას დროებით სათავეში ჩაუყენეს ჩეხეთის ტომასონი, რომელმაც ფარული კენჭისყრით „ინგლისის თასის“ პრეზიდენტს დევიდ შიპქენს აჯობა. „ჩემი მთავარი საზრუნავი იქნება მოვიპოვოთ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება და ფეხბურთის სამშობლოში სათანადოდ დავიწყოთ ავიდეს ქალთა ფეხბურთი“ — განაცხადა არჩევის შემდეგ ტომასონმა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ანგარიშები

ქაი. ვინ მოდის მანდ, მოგაპოვლიდა!

„ბუბოსკოკის“ ხმოვით

იტალიურ გაზეთ „ტურნოსკორის“ ცნობით, ამსტერდამის „აიაქსის“ ნიგერიელ მცველ სანდი ოლისეს იტალიურ კლუბებში გადასვლის ორი ვარიანტი ჰქონდა: შეეძლო ტურინის „იუვენტუსში“ გადასულიყო, ან „რომაში“.

პრემია რივალდოს მიაკუთვდა

„ბარსელონას“ ნახევარმცველ რივალდოს (ბრაზილია) მიეკუთვნა ესპანეთის პირველობის საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელის სპეციალური პრემია.

პორტუგალიის თასი - „ბეირა მარს“

პორტუგალიის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ბეირა მარსი“ და „კამპაიორონსე“. ანგარიშით 1-0 გაიმარჯვა „ბეირა მარსი“.

თარკა, სოლვა გადაწყვიტა

სეზონის დამთავრების შემდეგ „აიაქსის“ მეკარე ედვინ ვან დერ სარმა რამდენიმე მიწვევა მიიღო. იყო ლაბარაკო მის გადასვლაზე „მანჩესტერ იუნაიტედში“, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, როგორც უკვე ვთქვამოდით, მეკარე ტურინის „იუვენტუსში“ აღმოჩნდა. მკონდა სხვადასხვა ვარიანტი - განაცხადა მეკარემ - მოველპირავე ცოლს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ოჯახის ინტერესების გათვალისწინებით, იტალიაში თამაში სჯობს. ოჯახი კი ყველაზე მთავარია.

ბუნდოვანი მოგაპოვლი

ამ სეზონში, როგორც ცნობილია, „ბოლონიაში“ ორი რუსი ფეხბურთელი თამაშობდა: იგორ სიმუტენკოვი და იგორ კოლოვანოვი. იმის გამო, რომ მთავარი მწვრთნელი კარლო მაკონე „პერუჯაში“ გადავიდა, ორივე ფეხბურთელი „ბოლონიაში“ აღარ რჩება. სიმუტენკოვის მაცონე თავისთან ევატიცება, კოლოვანოვი კი შეიძლება თურქეთში გადავიდეს.

როვალ კლუბს აირჩევს?

რუსეთის ნაერებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი ნახევარმცველი ანდრეი პიატნიცკის კარგა ხანია ტრავმის გამო არსად უთამაშია. ახლა გამოჯანმრთელდა, კარგი საბრძოლო მზადყოფნა აქვს და ერთბაშად რამდენიმე რუსული კლუბისგანაც მიიღო მიწვევა.

„ოპოროკა მონოლანის სივალაზა“

როგორც ვახანის „რუბინის“ ხელმძღვანელი, ცნობილი სპეციალისტი პაველ სადირანი ამბობს, იგი ამ ახალ გუნდს ერთუბიანი მიიღეს და რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გადასვლის ამოცანა დაუსახეს. რაც არ უნდა იყოს, მან აღარ „ზენიტს“ და ცსკას მოულოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, საბჭოთა კავშირის ნაკრებს წვრთნიდა.

რა თქმა უნდა, სადირანიმა ახალი მოთამაშეების მთელი ჯგუფი აიყვანა. მათგან ჭერაჭერობით მხოლოდ მეკარე იური ოყროსიძე აპარტლებს იმედებს. შემდეგ კი, ვნახოთ...

რუსეთს ვერ ელვება

ცნობილი ლიტველი სპეციალისტი ბენიამინს ზელეაიგისი ვერა და ვერ ელვება რუსულ ფეხბურთს. შარშან იგი ვოლოგოდაის „როტორის“ მეორე მწვრთნელთანავე კი დათანხმდა, მაგრამ ამ სამუშაოზე დიდხანს ვერ გაძლო. ახლა მან უკეთესი წინადადება მიიღო - ამ დღეებში ჩაუდგა სათავეში იაროსლავლის „მინსკს“, სადაც კრახისული სიტუაციაა შექმნილი.

მწვრთნელთან ანისხანობა ანგოვინა

ხორვატი სპეციალისტი მარიან ვლაკი უნგრეთის ყველაზე ტიტულოვან კლუბ „ფერენცვაროსში“ (ბუდაპეშტი) ედგა სათავეში. მას კიდევ ორწლიან კონტრაქტს სთავაზობდნენ, მაგრამ ვლაკმა მინც სამშობლოში დაბრუნება არჩია, სადაც ზაგრების „კროატის“ (ყოფილი „დინამოსი“) მთავარ მწვრთნელს, არგენტინელ ოსვალდო არდილესს დაეხმარება.

როგორც უნგრული გაზეთი „ნემზეტი შპორტი“ იტყუბა, ახლა „ფერენცვაროსში“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ორი კანდიდატია: ეროვნული ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი იანოშ ჩანი და „ფერენცვაროსის“ ყოფილი მოთამაშე იოზეფ მუხა.

კილავ ერთი სოკვანი

სერბია კრემიში ტოვებს „ვალადოლინს“, მაგრამ სამუშაოს კვლავ ესპანეთში ეძებს. იგი უკვე 12 წელია ამ ქვეყანაში მოღვაწეობს, ადრე სათავეში ედგა „ბურგოსს“, „მარბელიუსს“, „ბეტისს“ და „მერდს“.

უფრო სუსტ კლუბში

როგორც ვახანის, სახელოვანმა დანიელმა მეკარემ პიტერ შმიხელმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ უფრო სუსტ კლუბში გადასვლის განზრახვით დატოვა, ჩათვალა, რომ უმაღლეს ევროპულ დონეზე თამაში უკვე გაუჭირდებოდა. ლისაბონის „სპორტინგის“ ხელმძღვანელობამ შმიხელი „იოზე ალვალადეს“ სტადიონზე თავის გულშემოტკიცებებს წარუდგინა. „სპორტინგი“ თურმე უკვე 17 წელი არა ყოფილა ჩემპიონი. ახლა კი ამკარად მიეცემა იმედები.

შმიხელის კონტრაქტი დანიელისათვის ხელსაყრელად მიიჩნიათ. იგი ოთხწლიანია, თითოეულ სეზონში 180 მილიონ ესკუდოს მიიღებს, რაც ერთ მილიონ დოლარს უდრის. ახლა „სპორტინგი“ უფებს თავზე უნდა ჩაერთოს. - მესმის, თვლია იყო იმ კლუბის გულშემოტკიცარი, რომელიც 17 წელია პორტუგალიის ჩემპიონი არ გამხდარა. მაგრამ თუ ისტორიას მივუბრუნდებით, ვიტყვით, „მანჩესტერში“ რომ მივედი, იგი მთელი 26 წლის მანძილზე ვერ ხდებოდა ინგლისის ჩემპიონი. ჩემი მონაწილეობით კი პირველივე წელს ოქროს მედლები მოიპოვა. ახლა „სპორტინგის“ ვერია.

იოსებ პოკანს კოშაკები აღარ უსიზმრებენ

თქვენ რამეს გეუბნებათ სახელი იესებო? ალბათ გახსოვთ მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატი მექსიკაში, როცა დანიის ეროვნული ნაკრები შიშის ზარს სცემდა და მას „დანიურ დინამიტსაც“ ეძახდნენ. მაგრამ მერვედწინა წლებში ეს გუნდი შოკირებული ანგარიშით დამარცხდა ესპანეთის ეროვნულ ნაკრებთან - 1-5. დანიელების განადგურებას იესებო ოლსენის საკუთარი კარისკენ უხეირო გადაცემამ დაუდო საწინდარი. წლეულის მარტში კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მარტში დანია - იტალია, იესებო გრონკიარმა (12.08 1977) თავის სადებიუტო თამაშში ეროვნულ გუნდში და ისიც 30-ე წამზე „სიტყვა სიტყვით“ გაიმეორა სეხნიას „გმირობა“. დანიელებმა ეს შეხვედრა კოპენჰაგენის 40-ათასიან გადაჭედელი სტადიონ „პარკენზე“ 1-2 დათმეს, ხოლო მომხდართ დამარცხდნენ დებიუტანტი მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს.

გასაკვირი არაა, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც ახალგაზრდა ფორვარდს თანაგრძობა გამოუცხადა, იესებო ოლსენი გახლდათ, რომელიც ახლა ფეხბურთში აღარ მოღვაწეობს და მანჩესტერის ერთ-ერთ ტურისტულ სააგენტოში მუშაობს. „ის სულ უფრო ხშირად ატრიალებს ამ ეპიზოდს ვიდეთკასეტაზე, მაგრამ ასეთი შემთხვევები ფეხბურთში ხომ სრულიად ბუნებრივია. ისინი, უბრალოდ, რაც შეიძლება მალე უნდა დაივიწყონ ფეხბურთელებმა, თუმცა ეს საკმაოდ რთულია. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც დანიაა, ყველა ცდილობს ყურადღება გაამახვილოს მსგავს ფაქტებზე, ახლა გრონკიარმა მთელი კონცენტრაცია მხოლოდ თამაშზე უნდა გადაიტანოს და იმაზე, რომ ის ექსტრა-კლასის ფეხბურთელია, რომ მისგან გულშემოტკიცებები ძალიან ბევრს ელიან. მე კი ჯერ კიდევ ვხედავ უსიამოვნო სიზმრებს - ჩემს მიერ შესრულებულ კოშმარული პასი. თანაც, როცა ძველ ნაცნობებს ვხვდები, ისინი კვლავ ამ თემაზე ჩამომდგებენ-ხომამე სიტყვას“ - დასძენს ოლსენი.

ორივე იესებოს საერთო გაცვილებით ბევრი აქვს თავთავიანთ კარიერაში, ვიდრე უხეში შეცდომები ეროვნულ ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი. ეს იყო წლეულს თებერვალში ამხანაგური მატჩისას პოლანდიის წინააღმდეგ და ნომინაციაში „წლის აღმოჩენა“ პირველობა არავის დაუთმო სამშობლოში.

12 წლის წინათ, მადრიდის „ატლეტიკომ“ „პორტუს“ იმდროინდელი საოცრება პაოლო ფუტრე „ანაპნა“. ახლა კი ამ პორტუგალიური მარგალიტის დაუფლებაც სწადია ევროპის სხვა შეძლებული კლუბების დარად. „ბენფიკას“ კი ფინანსურად სულაც არ ულხინს და საქმეს ისეთი პირო უჩანს, რომ 18 წლის ნახევარმცველს შეელება, თუმც კლუბის დირექტორატში - უგო ლეალის შესაძლო ტრანსფერზე მწვავე კამათი მიდის. საქმე იმაშია, რომ ლეალმა „ბენფიკასთან“ სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი 1996 წლის ივლისში. მაგრამ იმდროინდელმა „ბენფიკას“ პრეზიდენტმა მანუელ დამასიუმ „დაყნოსა“ რა ლეალის ტალანტი, 1997 წლის აპრილში პლუს კიდევ ოთხი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი მასთან. წლეულს კი ამ ხელმოწერა ხელშეკრულების კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. „ბენფიკას“ ახლანდელი პრეზიდენტი ჟოან აზვედუ თვლის, რომ მეორე გარიგებაც სასებით კანონიერია და, რომ უგო ლეალი 2003 წლამდე „ბენფიკას“ საკუთრებაა. 18 წლის ფეხბურთელის ადვოკატი და აგენტი კი საწინააღმდეგოზე დგანან და თავიანთ კლიენტს თავისუფალი აგენტის სტატუსს ანიჭებენ. ეს დაევა იესებო გრონკიარს, რომ მასში ფიფაკი კი ჩაერია, თუმცა საბოლოო ვერდიქტი ჯერაც არაა გამოტანილი.



რეზი გამოსვლისას. გრონკიარე, ოლსენის დარად, მარცხენა გარემარბია, აქვს კარგი სისწრაფე და გოლის გატანის ალღო. ორივემ საერთაშორისო კარიერა და პირველი შთამბეჭდავი ნაბიჯები ამსტერდამის „აიაქსში“ გადადგეს. სწორედ ამ პოლანდიურ კლუბში ბრწყინვალე თამაშით დაიმსახურა იესებო გრონკიარმა ეროვნული გუნდის მაისური, თუმც ბევრი თვლის, რომ ეს ჯერ ნაადრევი იყო მისთვის. ზოგი სულაც „აიაქსში“ გრონკიარის თამაშს ნონსენსად მიიჩნევდა, მაგრამ როგორც კი იესებომა პოლანდიის ჩემპიონატის მეორე წრეში პეოტორიკი შეასრულა „მანჩესტერთან“ (4-1), ყველამ ირწმუნა, რომ „აიაქსის“ მიერ ამ ახალგაზრდა დანიელი ფორვარდის შესაძენად გაღებულ იოთხი მილიონი დოლარი ფუჭი როდი ყოფილა. ხოლო პოლანდიის თასის წლეუანდელი გათამაშების ფინალში, სწორედ მისი ორი გოლის წყალობით გაიმარჯვა „აიაქსმა“. ამსტერდამელეების გარდა იესებოს „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ეპიტეტივებიც. პოლანდიურ არჩევანში იმანაც შეასრულა დიდი როლი, რომ „აიაქსს“ გასული სეზონის დასაწყისში გრონკიარის თანამემამულე მორტენ ოლსენი წვრთნიდა.

...სამწუხარო ეპიზოდი ევრო-2000-ის მატჩში იტალიელებთან იესებო გრონკიარისთვის ახლა თავისებური გამოცდაა - მისგან სპორტული სულის და მტკიცე ნებისყოფის გამოვლენის ელიან. მოუხდევად იმისა, რომ დანიურმა პრესამ ამ შეცდომის გამო არ დაინდო ახალბედა ფორვარდი და თანაც ეს კაზუსი მისი შემდგომი კარიერის შესაფლავებდ მონათლა, დანიის ეროვნული გუნდის თავკაცმა პო პანსონმა კი სულ სხვანაირად განსაჯა: „ამ წარუმატებლობის გამო იესებო არ „გამტყდარა“ და სულეირო სიძლიერე გამოაჩინა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეთი პრობლემების დაძლევა მას სრულიად ხელეწიფება და ბრწყინვალე კარიერასაც შეიქმნის“.

ჯიმ კოლდენი, ("WORLD SOCCER") იტყვება უცვლელად.



დაკარგული თაობის სვლა

მიუხედავად იმისა, რომ ლისაბონის „ბენფიკას“ ნახევარმცველი უგო ლეალი (21.05. 1980) რეგულარულად ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში, მან შესაძლოა მომავალი სეზონიდან სხვა კლუბს მიაშუროს. 1998-99 წლების სეზონი მისთვის მართლაც წარმატებული იყო - ის არამარტო კლუბის ნამყვან მოთამაშედ იქცა, არამედ ეროვნულ ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი. ეს იყო წლეულს თებერვალში ამხანაგური მატჩისას პოლანდიის წინააღმდეგ და ნომინაციაში „წლის აღმოჩენა“ პირველობა არავის დაუთმო სამშობლოში.

12 წლის წინათ, მადრიდის „ატლეტიკომ“ „პორტუს“ იმდროინდელი საოცრება პაოლო ფუტრე „ანაპნა“. ახლა კი ამ პორტუგალიური მარგალიტის დაუფლებაც სწადია ევროპის სხვა შეძლებული კლუბების დარად. „ბენფიკას“ კი ფინანსურად სულაც არ ულხინს და საქმეს ისეთი პირო უჩანს, რომ 18 წლის ნახევარმცველს შეელება, თუმც კლუბის დირექტორატში - უგო ლეალის შესაძლო ტრანსფერზე მწვავე კამათი მიდის. საქმე იმაშია, რომ ლეალმა „ბენფიკასთან“ სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი 1996 წლის ივლისში. მაგრამ იმდროინდელმა „ბენფიკას“ პრეზიდენტმა მანუელ დამასიუმ „დაყნოსა“ რა ლეალის ტალანტი, 1997 წლის აპრილში პლუს კიდევ ოთხი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი მასთან. წლეულს კი ამ ხელმოწერა ხელშეკრულების კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. „ბენფიკას“ ახლანდელი პრეზიდენტი ჟოან აზვედუ თვლის, რომ მეორე გარიგებაც სასებით კანონიერია და, რომ უგო ლეალი 2003 წლამდე „ბენფიკას“ საკუთრებაა. 18 წლის ფეხბურთელის ადვოკატი და აგენტი კი საწინააღმდეგოზე დგანან და თავიანთ კლიენტს თავისუფალი აგენტის სტატუსს ანიჭებენ. ეს დაევა იესებო გრონკიარს, რომ მასში ფიფაკი კი ჩაერია, თუმცა საბოლოო ვერდიქტი ჯერაც არაა გამოტანილი.

ბის წარმოუდგენელი ოსტატობით და მოედნის ბრწყინვალე ხედვით უგო ლეალი მალე ქვეყნის 16 წლამდელთა ნაკრების შტტევების სულიწამდგმელი გახდა - მისი შემწეობით გუნდმა ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა თანატოლებში. პარალელურად ლეალი ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი „ბენფიკას“ რიგებში დუბლშემადგენლობათა შორის. კლუბის ძირითადში მოხვედრა კი უგოსთვის მხოლოდ დროის ამბავი გახლდათ. 1997-98 წლების სეზონის მწურულს მან ოთხი თამაში ჩაატარა „ბენფიკას“ ძირითადში, ხოლო შემდგომი სეზონიდან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გუნდის წამყვან ფეხბურთელად იქცა - აჩვენა ბრწყინვალე თამაში, გამოავლინა უნივერსალური შესაძლებლობები და სიმწიფე, რაც მის ასაკთან შეუფერებლად მოსჩანს.

90-იანი წლების მიჯნაზე პორტუგალიაში ბევრი ტალანტი გაჩნდა - ჟოაუ პინტო, ფერნანდუ კოუტო, რუი კოშტა, ლუიზ ფიგუ, მაგრამ ეროვნულ გუნდს შთამბეჭდავი წარმატებებისთვის არ მიუღწევია. პორტუგალიელი გულშემოტკიცებები, მიმოხილველები და სპეციალისტები თვლიან, რომ უგო ლეალი და „ბენფიკას“ კიდევ ერთი ტალანტი, ფორვარდი ნუნუ გომეში, ისეთივე წარმატებით გაბრწყინდებიან ეროვნულ გუნდში, როგორც ასაკობრივ ნაკრებებში. „უგო ლეალი უზადო ტექნიკის მქონე ახალგაზრდა ფეხბურთელია. მე მჯერა მისი ბრწყინვალე მომავლის არა მარტო იმიტომ, რომ მაღალი დონის ოსტატია, არამედ იმიტომაც, რომ ამ ყმანვილს უბრალო და სადა პრინციპები გააჩნია. მისი პიროვნული მენტალიტეტი სუპერვარსკვლავად გახდომაზე მიმანიშნებს“ - თვლის „ბენფიკასა“ და პორტუგალიის ლეგენდა, თვით დიდი ეუსებიო.

ნიკ ბიბუელი, "World Soccer". იტყვება უცვლელად

„მოგო-ლოგო“ - მილიონთა თაგაჟი!

27 ივნისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანშლები „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამეხუთე გათამაშებით.
ლოტო 6-42-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
1. 5. 12. 36. 37. 41.
3 ციფრი - 2.30 ლარი.
4 ციფრი - 37.70 ლარი.
5 ციფრი - 1102.88 ლარი -
გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
სუპერ-7-ის მოგებიანი ციფრებია: 5. 1. 3. 6. 9. 7. 6.
შემდეგი ტირაჟი შედგება 4 ივლისს.
ტირაჟის დროს მომენტალური ლატარიების „გოლი-98“-ის და „ოლიმპის“ მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები და 26 სექტემბერს ჩასატარებელ პირველ ტელეგათამაშება „გოლი+ოლიმი“-ზე დასწრების უფლება ნილად ხვდათ:
ლატარია „ოლიმპ“-ში - ევა გადავიდას (თბილისი) - ბილეთის №068292
მერაბ ტყეშელის (თბილისი) - ბილეთის №067929
ლატარია „გოლი-98“-ში ნოდარ სირაძეს (ასურეთი) - ბილეთის № 03984-151
მზია ჩიტიას (თბილისი) - ბილეთის №03986-109.
ჩააბარეთ მოუგებელი ბილეთები გამაგრცვლებებს! გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს.
ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!
საპარტმელოს სპორტის პარტნული ფონდი

# ეპროპის ყველა ჩემპიონატი

ივლისი 1968

## მესამე, ასე უკვე რეჟისორად...

როგორც აღვნიშნეთ (ლელა №47, 48) 1964 წლის გათამაშება ისტორიაში შევიდა ევროპის თასის სახელწოდებით, ხოლო 1968 წლიდან კი მას ევროპის ჩემპიონატი ეწოდა. 1968 წლის ჩემპიონატი მონაწილეობის განაცხადი შეიტანეს 31 ქვეყნის ნაკრებებმა. წინასწარ ეტაპზე გუნდები რვა ჯგუფში განაწილდნენ, თამაშები წრიული სისტემით ჩატარდა.

პირველ ჯგუფში გამარჯვება ესპანეთის ნაკრებმა, მეორეში - ბულგარეთმა; მესამეში - სსრკ-2 (ერთ-ერთი შესარჩევი მატჩი გაიმართა თბილისში: სსრკ - საბერძნეთი 4-0). მეოთხეში - იუგოსლავიამ (გურის ნაკრები ვერ გავიდა); მეხუთეში - უნგრეთმა, მეექვსეში - იტალიამ; მეშვიდეში - საფრანგეთმა და მერვეში - ინგლისმა.

ამის შემდეგ კენჭისყრა გუნდები შემდეგნაირად დაწვეილა: უნგრეთი - სსრკ 2-0 და 0-3.

პირველი მატჩი ჩატარდა ბუდაპეშტში „ნეპტადიონზე“ 80 000 მაყურებლის თანდასწრებით. სსრკ-ს ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კავაზაშვილი, ანჩინი, შესტერიანი, ხურცილავა, ისტომინი, ვორონინი, ჩისლენკო, კაპლინი, ბანიშევი, სტრელოვი, მალოფევი.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარმოებდა, საგოლე მომენტები მატჩში ნაკლებად იყო. მცველები პერსონალურად მჭიდროდ „მეურვეობდნენ“ თავი დამსხმელებს: მესეი - სტრელოვის, ხურცილავის - ვარგას, კაპლინი - ფაზეკაშ. შეხვედრის 22-ე წუთზე ფარკაშმა პირველი ბურთი მოათავსა სსრკ-ს ნაკრების კარში, შეხვედრის დასასრულს (84-ე წუთზე) დასწრებაზე ითამაშა გიორგიმ - საბოლოოდ 2-0 უნგრელთა სასარგებლოდ.

განმეორებითი მატჩი, რომელიც გაიმართა მოსკოვში (102 000 მაყურებელი) სსრკ-ს ნაკრებმა შეძლო ორი ბურთის დევიციტის „შეკლება“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3-0. პირველი ბურთი ბანიშევის მოწოდებით შემდეგ უნგრელთა მცველმა (შომიშოვი) საკუთარ კარში ჩაჭრა. მთელი პირველი ნახევარი მიმდინარეობდა საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით. შესვენების შემდეგ სსრკ-ს შეტევებმა იკლო, თამაში გაათანაბრდა... ერთ-ერთ ეპიზოდში უნგრელთა მხარეს დაინიშნა საჯარო, ხურცილავამ დაარტყა დაახლოებით 25 მეტრიდან და ანგარიში გახდა 2-0. მესამე ბურთი გაიტანა ბიშოვეცმა. ორი მატჩის ჯამში სსრკ-ს ნაკრები გავიდა ნახევარფინალში.

**ინგლისი - ესპანეთი. 1-0 და 2-1.**

ამ წვეილი ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მსოფლიოს ჩემპიონები და ევროპის თასის მფლობელები.

**ინგლისი:** ბენქსი, ნოულზი, უილსონი, მიულერი, ჯ. ჩარლტონი, მური, ბოლი, პანტი, სამერბი, ბ. ჩარლტონი, პიტერსი. **ესპანეთი:** სადურნი, სავი, ვალეგო, კანოსი, ზოკო, პირი, გროსო, პოლინარიო, ანხოლა, აბანსიო, კლარამონტი. შეხვედრას „უემბლზე“ ეწვრებოდა 100000 მაყურებელი. თამაში მიმდინარეობდა მასპინძელთა მცირე უპირატესობით, მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე იყო და ინგლისელთა მწვერთვად აღვ რამსივმ, დარწმუნებულმა იმაში, რომ მისი ფეხბურთელები გოლს ვერ გაიტანდნენ, თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე გასახდელს მიაშურა და ამ დროს ბოი ჩარლტონმა გაიტანა გამარჯვების გოლი - 1-0.

განმეორებითი შეხვედრა მადრიდში (120 000 მაყურებელი). ისევ იმარჯვეს ინგლისელებმა. მატჩის 47-ე წუთზე ამანსიომ გახსნა ანგარიში. 8 წუთის შემდეგ ბოლის ჩამოწოდებულ კუთხურიდან პიტერსმა თავურთი ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ ესპანელები გადავიდნენ შტურმზე, მაგრამ ინგლისელთა ერთ-ერთი კონტრშეტევისას პანტიმ გამარჯვების გოლი გაიტანა 2-1. ინგლისელები ნახევარფინალში გავიდნენ.

**იუგოსლავია - საფრანგეთი: 1-1 და 5-1.**

პირველი შეხვედრა მარსელში მიმდინარეობდა ფრანგების აშკარა უპირატესობით, მათ უპირატესობაზე მეტეხელებს თუნდაც კუთხურების რაოდენობით



ლუიჯი რივა

დენობა, ფრანგებმა მოაწოდეს 15, ხოლო იუგოსლავიელებმა არც ერთი. მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი უპირატესობისა, პირველი ბურთი გაიტანეს იუგოსლავიელებმა: მათ 66-ე წუთზე განახორციელეს სწრაფი კონტრშეტევა და ჯაჩის გადაცემით მუსევიჩმა გახსნა ანგარიში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ფრანგებმა ანგარიშის გათანაბრება. ეს შეძლო შეხვედრის 79-ე წუთზე და ნალო.

განმეორებითი შეხვედრას ბელგრადში „ცრცვენა ზეზდას“ სტადიონზე 60 000 მაყურებელი ესწრებოდა. პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით, იგი მიმდინარეობდა იუგოსლავიელთა აშკარა უპირატესობით, რომლებმაც მე-14 წუთისათვის უკვე გადაწყვიტეს მატჩის ბედი, როცა იგებდნენ (3-0) შეხვედრას. მე-3 წუთზე ჯაჩის მოწოდებით პეტკოვიჩმა გახსნა ანგარიში. მე-12 წუთზე მუსევიჩმა გაიტანა მეორე ბურთი. მე-13 წუთზე ჯაჩიმ - 3-0. 33-ე წუთზე პეტკოვიჩმა მოატყუა ფრანგთა სამი მცველი, შემდეგ მეკარე და ანგარიში გახდა 4-0. ამის შემდეგ დი ნალომ შეამცირა სხვაობა - 4-1. ასე დამთავრდა პირველი ნახევარი. მეორე ტაიმში თამაშის ტემპი დაეცა და მხოლოდ შეხვედრის დასასრულს ჯაჩის გადაცემით მუსევიჩმა გაიტანა მეორე გოლი საბოლოოდ - 5-1 იუგოსლავიელთა სასარგებლოდ.

**იტალია - ბულგარეთი 2-0 და 2-3** პირველი შეხვედრა ჩატარდა სოფი-



5 ივნისი, 1968 წელი. ნეაპოლი. 1/2 ფინალი. იტალია-სსრკ 0-0. წილისყრა (+: -). ფერინისა (მარცხნივ) და ბანიშევიცის დუელი.

ის „ვასილი ლევსკის“ სტადიონზე 65000 მაყურებლის თანდასწრებით და დამთავრდა ბულგარელთა გამარჯვებით - 3-2. ბულგარეთის ნაკრებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა იტალიელები. პირველი ბურთი გავიდა 11-მეტრიანიტი. კოტოვი - მე-10 წუთზე. 61-ე წუთზე პენემა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და ანგარიში გათანაბრდა 1-1. დერმენჯიევმა 66-ე წუთზე წინ გაიყვანა ბულგარელები, ხოლო ვეკოვმა 73-ე წუთზე კიდევ უფრო გაზარდა ანგარიში - 3-1. შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე რივერას გადაცემით იტალიელთა დებიუტანტმა პრატიმ ანგარიშის სხვაობა შეამცირა.

განმეორებითი შეხვედრა ჩატარდა ნეაპოლში (100000 მაყურებელი). მატჩის დებიუტშივე „მილანის“ თავდამსხმელმა პროტიმ დააწინაურა იტალიელები, ეს პროტის მეორე შეხვედრა



მარცხნიდან: ჯანი რივერა, ანჯელო დომენგინი, სანდრო მაცოლა

იყო იტალიის ნაკრების შემადგენლობაში და მეორე გატანილი გოლი. ამის შემდეგ იტალიელები ათამაშდნენ და უამრავი მომენტი შექმნეს ბულგარელებს კართან. შეხვედრის 53-ე წუთზე დომენგინის შორიდან დარტყმამ მიადწია მიზანს - 2-0, ამის შემდეგ იტალიელები საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და შეინარჩუნეს საჭირო ანგარიში. ორი მატჩის ჯამში ნახევარფინალში გავიდა იტალიის ნაკრები.

**ნახევარფინალი. სსრკ - იტალია** იტალია: ძოფი, ბურგინი, ფაკეტი, ფერინი, ბერსელინი, კასტანო, დომენგინი, ელინი, მაცოლა, რივერა, პროტი. **სსრკ:** პენინიკოვი, ისტომინი, შესტერიანი, კაპლინი, აფონინი, ლოგოფეტი, მალოფევი, ლენინი, ბანიშევი, ბიშოვეცი, ვერუხინი.

შეხვედრის დასაწყისი მიმდინარეობდა სსრკ-ს ნაკრების მცირე უპირატესობით, შემდეგ თამაში თანდათან გათანაბრდა. მეორე ნახევარში უკვე იგრძნობოდა იტალიელთა უპირატესობა, ოცწუთიან მონაკვეთში სანდრო მაცოლას ორჯერ მიეცა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ კარგად ითამაშა პენინიკოვმა. სსრკ-ს ფეხბურთელებსაც, კერძოდ, ბანიშევისსა და ბიშოვეცსაც ჰქონდათ კარის აღების შანსი, მაგრამ უშედეგოდ თამაშობდა ძოფი. შეხვედრის როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ 0-0. ამის შემდეგ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში პირველად იქ უკანასკნელად ფინალისტი გამო-



დრაგან ჯაჩი

გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, მინდორზე ის იყო საუკეთესო, სწრაფად მოძრაობდა, ადვილად ატყუებდა მოწინააღმდეგეთა მცველებს და თანაგუნდელებსც აყოლიდა. შეხვედრა გამოვიდა უხეში და მსაჯი იძულებული იყო გაეტყუებინა ინგლისელი - მიულერი.

შეხვედრა თავიდან მიმდინარეობდა იუგოსლავიელთა უპირატესობით, შემდეგ, პირველი ნახევრის შუაში ინიციატივას უკვე ინგლისელი ფლობენდი. ასევე გარდაცვალი უპირატესობით წარმოებდა მეორე ნახევარი ბურთის გატანამდე. ამრიგად, 1-0 და იუგოსლავიელები გადიან ფინალში.


მე-3 ადგილისათვის ერთმანეთს ინგლისი - სსრკ შეხვდნენ. სსრკ-ს ნაკრები გამოვიდა იგივე შემადგენლობით, რაც იტალიასთან შეხვედრაში, ხოლო ინგლისელთა რიგებში მოხდა სამი შეცვლა (ნიუტონისა, მიულერისა და ბოლის ნაცვლად თამაშობდნენ სტაილზი, რაითი და პერსტი).

შეხვედრა დაიწყო სსრკ-ს ფეხბურთელთა შეტევებით, დასაწყისში შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ უშედეგოდ. პირველი ნახევრის ბოლოს უპირატესობას ინგლისელები დაეუფლნენ და 39-ე წუთზე ბ. ჩარლტონმა გახსნა ანგარიში. რაც უფრო დასასრულისკენ მიდიოდა შეხვედრა, უფრო იკვეთებოდა ინგლისელთა უპირატესობა. 61-ე წუთზე პერსტმა გაზარდა ანგარიში და ინგლისელთა უპირატესობა უკვე აშკარა იყო, მათ მრავალი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, საბოლოოდ 2-0 და ინგლისელები დაეუფლნენ ბრინჯაოს მედალებს.

**შინალი. იტალია - იუგოსლავია**

**იტალია:** ძოფი, ბურგინი, ფაკეტი, ფერინი, გუარნერი, კასტანო, დომენგინი, კულიანი, ანასტაზი, ლოდეტი, პროტი. **იუგოსლავია:** პანტელინი, ფაზლაგინი, დამინივი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, პოლცერი, პეტკოვიჩი, ოსიმი, მესევიჩი, ტოკიჩი, ჯაჩი.

**ინგლისი:** ბენქსი, ნიუტონი, უილსონი, მიულერი, ლებონი, მური, ბოლი, პანტი, ბ. ჩარლტონი, პიტერსი, პანტერი. ერთადერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი, შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გაიყვინა შესანიშნავი, ჯაჩიმ მკერდზე მიიღო ბურთი და მიწაზე დაუშვებლად უძლიერესი დარტყმით მოათავსა ბენქსის კარში, ეს ყველაფერი შეასრულა მომენტალურად ინგლისელთა მცველების გარემოცვაში. და გახდა მატჩის გამარჯვებული, არა მარტო იმიტომ, რომ



ვე შემადგენლობით (მხოლოდ პეტროვიჩის ნაცვლად თამაშობდა კოშინი), ხოლო იტალიელებმა შეცვალეს თითქმის ნახევარი გუნდი (ფერინის, კასტანოს, კულიანოს, ლოდეტისა და პროტის ნაცვლად თამაშობდნენ: რასატო, სალვატორე, მაცოლა, დე სისტო და რივა). იტალიელთა უპირატესობა დასაწყისიდანვე გამოიკვეთა. მწვერთნელის (ვალკარევის) გაბედულმა სეველმა (ყველა მწვერთელი არ გარისკავდა ნახევარი შემადგენლობის შეცვლას) გააძაბოთლა. მაცოლა მთელ შეხვედრას დირიჟირობდა, ხოლო ორი თავდამსხმელი - ანასტაზი და რივა მოქმედებდნენ მაღალი ტემპით და აწიოკებდნენ იუგოსლავიელთა დაცვას. ანგარიში გახსნა რივამ მე-12 წუთზე. ხოლო 31-ე წუთზე ანასტაზიმ გაზარდა ანგარიში 2-0. ასე დამთავრდა ეს მატჩი.

ეს იყო იტალიელთა საუკეთესო მატჩი ამ ჩემპიონატში, წინა ორ შეხვედრაში მათ აშკარად ბეგმა გაუღიმა, ჯერ ნახევარფინალში, როცა კენჭისყრამ ისინი დაასახელა ფინალისტი და ფინალის პირველ შეხვედრაში, როცა მთელ შეხვედრას აკებდნენ და მხოლოდ 81-ე წუთზე დომენგინის საჯარო-მოს შემდეგ გაათანაბრეს ანგარიში, ბურთი რომ „გაძებრა“ ცოცხალ კედელში.

ევროპის 1968 წლის ჩემპიონატის შესაბამის ეტაპზე მონაწილეობა მიიღეს ქართველმა ფეხბურთელებმა: ა. კავაზაშვილმა, გ. ცხოვრებულმა და მ. ხურცილავამ. თანაც ხურცილავამ გაიტანა 2 გოლი. ტრავმის გამო მან ვერ მიიღო მონაწილეობა ფინალურ ეტაპზე.

ჩემპიონატის შემდეგ ურნალისტებმა დაასახელეს ევროპის **სიმბოლური** ნაკრები, მასში შევიდნენ: ძოფი (იტალია), პოლცერი (იუგოსლავია), ფაკეტი (იტალია), შესტერიანი (სსრკ), ბურგინი (იტალია), ანიშოვიჩი (იუგოსლავია), მაცოლა (იტალია), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), პიტერსი (ინგლისი), რივა (იტალია), ჯაჩი (იუგოსლავია). **ბომბარდირი:** ლუიჯი რივა (იტალია) - 7 ბურთი.

### ბანიშევიცის უპირატესობა

**მიუხედავად იტალიის** სსრკ-უნგრეთი 0-2 და 3-0 ინგლისი - ესპანეთი 1-0 და 2-1 იუგოსლავია - საფრანგეთი 1-1 და 5-1 იტალია - ბულგარეთი 2-3 და 2-0

### ნახევარფინალი

იტალია - სსრკ 0-0 (+: - კენჭისყრით) იუგოსლავია - ინგლისი 1-0

### მე-3 ადგილისათვის

ინგლისი - სსრკ 2-0 (გ. ჩარლტონი, პერსტი)

### შინალი. პირველი შეხვედრა.

**მსაჯი: დინსტი (შვეიცრია).** 8 ივნისი. იტალია - იუგოსლავია 1-1.

**იტალია:** ძოფი, ბურგინი, გუარნერი, ფაკეტი, ფერინი, კასტანო, დომენგინი, კულიანი, ანასტაზი, ლოდეტი, პროტი. **იუგოსლავია:** პანტელინი, ფაზლაგინი, დამინივი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, პოლცერი, პეტკოვიჩი, ოსიმი, მესევიჩი, ტოკიჩი, ჯაჩი.

**გოლები:** ჯაჩი 39 (0-1), დომინგინი 81 (1-1).

10 ივნისი. მეორე შეხვედრა. **იტალია - იუგოსლავია 2-1** მსაჯი ო. დე მენ-დელი (ესპანეთი).

**იტალია:** ძოფი, ბურგინი, გუარნერი, სალვატორე, ფაკეტი, როსატო, მაცოლა, დომენგინი, დე სისტო, ანასტაზი, რივა. **იუგოსლავია:** პანტელინი, ფაზლაგინი, პაუნოვიჩი, პოლცერი, დამინივი, პავლოვიჩი, ტრევიჩი, ანიშოვიჩი, კოშინი, მუსიმიჩი, ჯაჩი.

**გოლები:** რივა 12 (1-0), ანასტაზი 31 (2-0). მწვერთელი ვალკარევი.

მ. ჯალალონი, აფხაზეთი, სოფ. ფსაფი.

